პირველი არხი

1TV.GE

შიდა მონიტორინგის სისტემა

საქართველოს პირველი არხი, როგორც პასუხისმგებლიანი და ანგარიშვალდებული მედია, 2019 წლიდან, ფლობს შიდა მონიტორინგის სისტემას, რისთვისაც დაიწერა სპეციალური პროგრამა და მასალის სპეციფიკის გათვალისწინებით მომზადდა მონიტორთა ჯგუფი.

მონიტორინგის სისტემის მიზნობრიობა

პროგრამა (© 2019 - TvAnalytics) შეიქმნა საქართველოს პირველი არხის ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით. ეს არის თვითრეგულირების უნიკალური ინსტრუმენტი რომელიც საშუალებას გვაძლევს გვქონდეს:

- სამაუწყებლო პლატფორმებზე - ტელე/რადიო/ონლაინ გაშუქებული ინფორმაციის/ თემატიკის/სუბიექტების მონაცემთა ბაზა
- გაშუქებული ინფორმაციის/თემატიკის დეტალური ანალიზი (შიდა წარმოება/გარე წარმოება/მექანიკა) შერჩეული პერიოდის/მიმართულების/ქვემიმართულების/გადაცემის მიხედვით
- მონაცემთა სისტემატიზაცია და მუდმივი ხელმისაწვდომობა
- მუდმივი ანგარიშგება საზოგადოებასთან, არასამთავრობო თუ სხვა ორგანიზაციების პერმანენტული ინტერესების დაკმაყოფილება, დაინტერესებულ პირთა ინფორმირება თუ როგორ ასრულებს მაუწყებელი მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.
- შიდა გამოყენებისთვის ინფორმაციის ფილტრაცია, მენეჯმენტთან და პროდიუსერებთან კომუნიკაცია

მონიტორინგი მოიცავს პლატფორმებს:

- პირველი არხი
- საქართველოს რადიო
- ვები
- მრავალფეროვანი საქართველო

აღნიშნულ პლატფორმებზე გაშუქებული ინფორმაცია მონიტორინგის პროგრამაში სისტემატიზებულია 13 ძირითადი მიმართულებით:

1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური
2. ხელისუფლება, თვითმმართველობა, სასამართლო
3. ეკონომიკა-ბიზნესი
4. სამოქალაქო საზოგადოება
5. რელიგიური და ეთნიკური ჯგუფები
6. მოწყვლადი ჯგუფები
7. ეკოლოგია და გარემოს დაცვა
8. ჯანსაღი ცხოვრება და მედიცინა
9. პროდუქცია ბავშვებისა და მოზარდებისათვის
10. კულტურა
11. შემეცნება-განათლება
12. ჟურნალისტური გამოძიება
13. სპორტი

ძირითად მიმართულებებში ჩაშლილია 132 ქვემიმართულება, რომელიც სამუშაო პროცესში მოდიფიკაციას განიცდის, ემატება ან იცვლება საჭიროების მიხედვით.

მონიტორინგის პროგრამით ასევე იზომება გაშუქებული სუბიექტები. მონაცემთა დამუშავება ხდება როგორც მათი სქესის ასევე წარმომადგენლობის გათვალისწინებით.